ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4210423

ნომერი: AR1634993

თარიღი : 04.10.2018

გაცემის თარიღი : 10.10.2018

გაცნობის თარიღი : 11.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 01/226;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემური ჭრიკიშვილი პ/ნ 12001091948
- გარდაბანი ს. ნორიო მე–13 I ჩიხი N 4ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 4

ოქტომბერს №AR1634993 განცხადებით მომართეს თემურ ჭრიკიშვილმა, ავთანდილ ჭრიკიშვილმა და ვარლამ ლიპარტელიანმა. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ/ ქალაქ თბილისში , ნუცუბიძე - ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 01/226, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.15.001.367), მრავალფუნქციური კომპლექსი/სპორტული დარბაზის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 24.03.2017 წ-დან 24.09.2020 წ-ის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებლები ითხოვენ ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად 10509.5 კვ.მ-ის ნაცვლად 9755.2 კვ.მ-ის, საცხოვრებელი ფართობად 4847.5 კვ.მ-ის ნაცვლად 4307.5 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1790.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1682.5 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 916.8 კვ.მ-ის ნაცვლად 811.9 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 1624.5 კვ.მ-ის ნაცვლად 1622.8 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 9755.2 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობად 4307.5 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 1682.5 კვ.მ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი 811.9 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 1622.8 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანებით შეთანხმებული -9,30, -6,20, -3,10, +4,40, +7,70, +11.00, +14,30, +17.60, +20.90 და +27,50 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 4 ოქტომბრის №AR1634993 განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.